საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1100

19/07/2021

ქ. თბილისი

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მდ. რიცეულაზე, 6,32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (რიცეულა ჰესი), ექსპლუატაციის პირობების ცვილილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 1 ივლისის N 2-609 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მდ. რიცეულაზე, 6,32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (რიცულა ჰესი), ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 1 ივლისის N 2-609 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა №47 (19.04.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მდ. რიცეულაზე, 6,32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (რიცულა ჰესი), ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 1 ივლისის N 2-609 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი